USAID UNITY THROUGH DIVERSITY PROGRAM
USAID-ის პროგრამა ერთიანობა მრავალფეროვნებაშია

პირველი ლოტი

სამოქალაქო ინტეგრაციის გრანტები

საინფორმაციო ბარათი

ინტეგრაციის საგრანტო პროგრამა

საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNA-Georgia), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილი პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, აცხადებს სამოქალაქო და ეკონომიკური ინტეგრაციის საგრანტო პროგრამას.

საგრანტო პროგრამის მიზანია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უკეთ ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, ქვეყანაში საზოგადოებრივი ერთობის ხელშეწყობა და ურთიერთსასარგებლო სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური კავშირების გაძლიერება.

საგრანტო პროგრამა შედგება ორი ლოტისგან:

1. სამოქალაქო ინტეგრაციის გრანტები.
2. ეკონომიკური ინტეგრაციის გრანტები.

პირველი ლოტის ფარგლებში აღნიშნული საგრანტო პროგრამის მიზანია საგრანტო პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები სამოქალაქო ინტეგრაციის ფარგლებში

- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების დონეებზე; ქართული ენის ფორმალური თუ არაფორმალური სწავლის შესაძლებლობების გაუმჯობესება.
- პოლიტიკურ პროცესებში, საჯარო კონსულტაციებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ჩართვის წახალისება და მათი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეებზე.
- მოქალაქეებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციისა და უთანასწორო მოპყრობის აღმოფხვრა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა საზოგადოებრივი ერთობის ხელშესაწყობად.
- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემატიკის გათვალისწინების ხელშეწყობა სექტორულ საჯარო პოლიტიკასა და კანონმდებლობაში, მათ შორის ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და სახელმწიფო სერვისების მიმართულებით.
- ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მუნიციპალური სოციალური დაცვისა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის სერვისების უმცირესობებისათვის უფრო ხელმისაწვდომად ქცევა.
- უმცირესობების ხმის წარმოჩენა ფართო საზოგადოებრივ დისკუსიაში, დიალოგის წახალისება, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე საზოგადოებრივი ერთობის ხელშეწყობის მიზნით.

- მრავალფეროვნებისა და ჩართულობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში, ერთიანი და შემწყნარებელი საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით.
- საქართველოს საზოგადოებაში არსებულ მრავალფეროვან კულტურათა შორის დიალოგის მხარდაჭერა და კულტურული კავშირების გაფართოება განსაკუთრებთ ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობით.
- რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ ისეთი მედია დისკურსის წახალისება, რომელიც არსებული სტერეოტიპების ნგრევას შეუწყობს ხელს და შეამცირებს ანტი-დასავლური პროპაგანდის მიერ მოტანილ ზიანს.
- სხვა საკითხები, რომლებიც შესაბამისობაშია საგრანტო პროგრამის ზოგად მიზანთან და მიმართულებებთან.

დაფინანსება და სხვა დეტალები

- ერთი ორგანიზაციისთვის/კომპანიისთვის საგრანტო თანხის საორიენტაციო ზედა ზღვარია $120,000.
- გამონაკლის შემთხვევებში დაფინანსების ზღვარი შეიძლება გაიზარდოს.
- საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ყველა პროექტი მაქსიმუმ <u>18 თვეში უნდა დასრულდეს.</u>
- პროექტების სამიზნე რეგიონებია:

  - ქვემო ქართლი (ნინოწმინდა, წალკა, გარდაბანი, დმანისი, მარნეული)
  - სამცხე-ჯავახეთი (ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა)
  - კახეთი (ახმეტა, პანკისი, საგარეჯო, ყვარელი, ლაგოდეხი)
  - მთიანი აჭარა (შუახევი, ქედა, ხულო)

- სოციალური და კულტურული კავშირების გაღრმაების მიზნით განხორციელებული პროექტები შესაძლოა ითვალისწინებდეს საქმიანობას არა მხოლო სამიზნე რეგიონებში, არამედ მთელი საქართველოს ტერიტორიაზეც.
- საგრანტო პროგრამის ფარგლებში ქვეგრანტები არ დაიშვება, თუმცა განმცხადებელს შეუძლია წარმოადგინოს ერთობლივი განაცხადი სხვა სუბიექტებთან ერთად, რომლებიც ასევე უნდა აკმაყოფილებდნენ წამყვანი განმცხადებლისათვის დაწესებულ კრიტერიუმებს.

წამყვან განმცხადებელს ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა შეუძლია. ამ განაცხადის განხილვის პროცესში ის სხვა საპროექტო წინადადებაში თანაგანმცხადებელი ვეღარ იქნება.

ვის შეუძლია მონაწილეობა

- არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო-საზოგადოებრივი პლატფორმები;
- სათემო და სახალხო ორგანიზაციები;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციები;
- მედია საშუალებები, საკომუნიკაციო სააგენტოები.

განცხადების შემოტანა და შერჩევის პროცესი

- აპლიკაციების მიღება და განხილვა მოხდება შემოსვლისამებრ, ღია კარის წესით (on a rolling basis).
- განაცხადის შემოტანა მოხდება ორ ეტაპად, შემდეგი სახით:
  - პირველ ეტაპზე პოტენციურმა განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის კონცეფცია (მაქსიმუმ 5 გვერდი დანართების გარეშე),
  - გაეროს ასოციაციისაგან მოთხოვნის შემდეგ კი, სრული განაცხადი (მაქსიმუმ 15 გვერდი დანართების გარეშე)
  - შესავსები ფორმები ორივე ეტაპისთვის შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს გაეროს ასოციაციის ვებ-გვერდზე: *დაასკანერეთ QR Code*
  - გაეროს ასოციაცია გრანტების შესარჩევ გუნდთან/კომისიასთან ერთად წარდგენილ საპროექტო განაცხადებს სისტემატურად განიხილავს.

თუკი აპლიკაციის პროცესში აპლიკანტი საჭიროებს მხარდაჭერას

- პოტენციური გრანტიორების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, გაეროს ასოციაცია უზრუნველყოფს საგრანტო პროექტების წერის, ფინანსური მენეჯმენტის, შიდა კონტროლის, მონიტორინგისა და შეფასების სემინარებსა და სამუშაო შეხვედრების ჩატარებას, წელიწადში მინიმუმ ორჯერ. აღნიშნული ღონისძიებების თარიღები და დღის წესრიგი გამოქვეყნდება საქართველოს გაეროს ასოციაციის ვებ-გვერდზე (www.una.ge) და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისათვის.

განაცხადების მიღება:

- საგრანტო განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელექტრონულად ელ. ფოსტაზე: una@una.ge, ხოლო subject line -ში უნდა მიეთითოს „Georgia Integration Grants Facility“.